ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება № 22

29 იანვარი
"---" -------- 2021 წ.

ქ. თბილისი

ქალაქ თბილისში, ბამბის რიგის ტერიტორიაზე არსებული 422 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.061.041) 33 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „OrgaN№ica"-სთვის (ს/ნ: 400056461) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის - ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 61-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და 122[1] მუხლის მე-6 პუნქტის, „ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის №19-78 დადგენილებით დამტკიცებული წესის მე-2 მუხლის მე-11 პუნქტის შესაბამისად, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მიეცეს თანხმობა ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობას, „ქალაქ თბილისში, ბამბის რიგის ტერიტორიაზე არსებული 422 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.061.041) 33 კვ.მ მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „OrgaN№ica"-სთვის (ს/ნ: 400056461) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2020 წლის 23 დეკემბრის №20.1575.1900 განკარგულებით გათვალისწინებული უძრავი ქონების: ქალაქ თბილისში, ბამბის რიგის ტერიტორიაზე არსებული 422 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან (საკადასტრო კოდი: №01.18.03.061.041) 33 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „OrgaN№ica"-სთვის (ს/ნ: 400056461) პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემაზე.

2. შეთანხმდეს მიწის ნაკვეთის საიჯარო ქირის წლიური საფასური - 7 920 (შვიდი ათას ცხრაას ოცი) ლარის ოდენობით.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი №64), კანონმდებლობით დადგენილი წესით.

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე **გიორგი ტყემალაძე**